www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2016

წელი

02.10.2017

www.geostat.ge

2.10.2017

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2016 წელი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2016 წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,5%-ით გაიზარდა და 64.1 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2016 წელს მისი მოცულობა 34,2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 13,9%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიდის მაჩვენებელს:



2016 წელს მთლიანი ბრუნვის 44,1% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 21,9% - საშუალო, ხოლო 34,0% - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41,6%, საშუალოზე - 25,1%, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33,3%.



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2016 წლის განმავლობაში 45.3 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,1%-ით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 28,2 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,8 %-ით მეტი).

2016 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 666,8 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 6,4%-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 39,8% ქალია, ხოლო 60,2% - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 32,7% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21,3% - საშუალო, ხოლო დარჩენილი 46,0% - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 620,1 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 6,1%-ით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 7022,2 მლნ. ლარია (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,9 %-ით მეტი).

2016 წელს საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 938,3 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 41,5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 716,3 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 36,5 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1129.5 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1085.9 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 697.7 ლარი.

2016 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 45,7% მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა

დამამუშავებელი მრეწველობა - 11,3%-იანი წილით, შემდეგ მოდის მშენებლობა - 10,7%-იანი წილით და ხელოვნება, გართობა და დასვენება 8,6%-იანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყოება 6.5%-იანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 3.9%-იანი წილით, ხოლო დარჩენილი 13,3% კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2016 წელი



2016 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში უდიდესი წილი მშენებლობის დარგზე ნაწილდება (21,6%). მეორე და მესამე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (20,6%) და ვაჭრობა (16,5%). შემდეგ მოდის ტრანსპორტი და დასაწყობება - 9,1%-იანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 32,2 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა, 2016 წელი



2016 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 25,5%, 13,5% და 11,3% - იანი წილებით). თუმცა სტრუქტურაში ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების (9,8%), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (7,9%) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზე (5,6%):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2016 წელი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2016 წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2015 წელი	2016 წელი	2016 წლის ზრდის ტემპი 2015 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**56984.8**	**64081.8**	**112.5**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	330.8	368.0	111.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	571.5	611.8	107.1
დამამუშავებელი მრეწველობა	6610.2	7232.5	109.4

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2015 წელი	2016 წელი	2016 წლის ზრდის ტემპი 2015 წელთან შედარებით
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2209.7	2516.2	113.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	212.5	211.2	99.4
მშენებლობა	5447.1	6863.2	126.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	26690.5	29284.7	109.7
ტრანსპორტირება და დასაწყობება	4339.9	4172.5	96.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1069.9	1307.0	122.2
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	457.5	570.3	124.7
საკვებით და სასმელებით მომსახურება	612.4	736.7	120.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1549.0	1600.2	103.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	756.5	991.5	131.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1245.3	1302.0	104.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	782.7	837.1	107.0
განათლება	264.0	301.2	114.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	828.3	895.2	108.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	3990.7	5489.0	137.5
სხვა სახის მომსახურება	86.3	98.5	114.1

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2016 წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2015 წელი	2016 წელი	2016 წლის ზრდის ტემპი 2015 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**29993.9**	**34156.9**	**113.9**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	371.3	410.5	110.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	652.7	633.4	97.0
დამამუშავებელი მრეწველობა	6536.7	7049.2	107.8
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1098.9	1263.3	115.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	289.6	299.5	103.4
მშენებლობა	5712.5	7381.9	129.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	4981.5	5633.2	113.1
ტრანსპორტირება და დასაწყობება	3126.5	3097.9	99.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1057.2	1325.3	125.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	459.8	591.9	128.7
საკვებით და სასმელებით მომსახურება	597.3	733.4	122.8
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1304.5	1321.8	101.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	821.2	1011.1	123.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1033.6	1121.2	108.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	474.2	548.3	115.6

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2015 წელი	2016 წელი	2016 წლის ზრდის ტემპი 2015 წელთან შედარებით
განათლება	276.2	321.7	116.5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1307.0	1475.1	112.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	866.2	1166.5	134.7
სხვა სახის მომსახურება	84.3	96.9	115.0

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2016 წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა

ეკონომიკური საქმიანობის სახეების

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2015 წელი	2016 წელი	2016 წლის ზრდის ტემპი 2015 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**626739**	**666790**	**106.4**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	12295	12691	103.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8120	7907	97.4
დამამუშავებელი მრეწველობა	87178	90192	103.5
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14588	14473	99.2
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	13506	13351	98.9
მშენებლობა	71129	75034	105.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	156089	169699	108.7
ტრანსპორტირება და დასაწყობება	48667	52831	108.6

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2015 წელი	2016 წელი	2016 წლის ზრდის ტემპი 2015 წელთან შედარებით
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	33925	37431	110.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	11731	14072	120.0
საკვებით და სასმელებით მომსახურება	22194	23360	105.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	19318	19672	101.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	16476	17255	104.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	23394	23741	101.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	20000	23326	116.6
განათლება	21783	22146	101.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	61218	65530	107.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	12988	14375	110.7
სხვა სახის მომსახურება	6066	7137	117.7

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 72.0%,
- აჭარის ა.რ. – 7.4%,
- ქვემო ქართლი – 5.6%,
- იმერეთი – 4.5%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.5%

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 65.9%,

- აჭარის ა.რ. – 9.0%,
- ქვემო ქართლი – 7.1%,
- იმერეთი – 4.8%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.3%.

შემდეგი დიაგრამა ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 61.8%,
- აჭარის ა.რ. – 10.0%,
- იმერეთი – 7.4%,
- ქვემო ქართლი – 6.0%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.3%.

შემდეგი დიაგრამა ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
   - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
   - 52.62.2 (საცალო ვაჭრობა ბაზრებსა და ბაზრობებზე)

3. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

4. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

   1. შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
   2. შპს „საქართველოს ფოსტა“
   3. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
   4. სს „სილქნეტი“
   5. შპს „საქართველოს რკინიგზა“
   6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
   7. სს „საქენერგორემონტი“
   8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია:**

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2)

სექციების დასახელებები

A	„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“

F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge